

Handwritten text at the top: *Handwritten text in Georgian script, possibly a title or address.*

Handwritten text at the top right: *Handwritten text in Georgian script.*

9560 50 8

საქართველოს მემორიალი



184. ღმერთმა ერთი რათი აცხობის (იხილეთ მეორეხედიანი გვერდი)

№ 41

1920 წ.

სექტემბერი 12



ღმერთმა

თანადა. აშხანაგებო! ეს ღმერთმა აღდგომილს ის ჩვენი ქალაქის გენერალ-გუბერნატორი რომელიც გამოსცემს ხოლმე დეკრეტს და ზრძანებას სარამოობით ქართის აკრძალვის შესახებ და საჭმელები კი ხელს არაფერს გვიშლის მთელი ღამე ღვინოსა და ჭიჭიფში ვაგატაროთ. ღმერთმა. ვაუშარჯოს, ვაუშარჯოს...

Handwritten notes on the right side: *Handwritten text in Georgian script.*


თამადა. გენერალ-გუბერნატორთან ერთად გაუმარჯოს ჩვენს მილიციას, რომელიც გინგებ მოიყრუებს ხოლმე ყურებს, თითქო ჩვენი ღრიანცელი არ ესმოდეს და ხშირად ჩვენთან ერთად განაგრძობს შექვიფსა და დროს ტარებას.

ლოთები. გაუმარჯოს ჩვენს კომისრებს და მილიციონერებს. აბა, მრავალყამიერ. (ისმის აუწყრელი ღრიანცელი)

თამადა. ზემოხსენებულ ძვირფას პირებთან ერთად გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მთავრობას, რომელიც არავითარ ყურადღეკას არ აქცევს კანონების ასრულებას დაზე ლოთობის აკრძალვის შესახებ და საშუალებას გვაძლევს ასე ადვილათ შეძენილი ფულები და აუარებელი სანოვაგე ვაგაჩანავოთ. აბა, მრავალ უამიერ!

დ ე ლ ე გ ა ც ი ა .

(გუძღვნით რუსეთში მიმავალ დელეგაციას მახელომდვანელოთ.)



ინგლისის მუშათა დელეგაცია საბჭოთა მთავრობამ აღტაცებითა და ზეიმით მიიღო: ღენინმა თვითვეულ მათგანს ხელი ჩამოართვა.

სამოთხეში.

იმ სამწუხარო ამბავმა, რომლის შესახებაც ჩვენ უკანასკნელ ნომერში მოგახსენეთ, მთელს სამოთხეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

— არაფერი ეთქმოდა თავის გასამართლებელი და გულიც იმიტომ შეუწუხდაო, — ამბობდენ ზოგიერთები.

— პირიქით, იმდენათ თვალსაჩინოა მისი უღანაშაულობა, რომ ლაპარაკიც მეტი იყო და ამან შეუღონა გულიო, — დასძენდენ სხვები.

ასე იყო, თუ ისე სამსჯავროს განახლების დღეს ყველანი მოკუთმენლად მოელოდენ. იყო ხმა: ბრა-

ღდებული ვეჭილს ეძებს და ზოგიერთმა ცნობილმა ადვოკატებმა, რომელნიც მსაჯულებთან კარგს განწყობილებაში იყვნენ დიდხალი ფული მოსთხოვესო, მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა.

ხუთშაბათს დილითგანვე დიდხალმა ხალხმა მოიყარა თავი დევი-მუხის ჩრდილქვეშ. განუწყვეტელი და თანაც ცხარე კამათი ნათლად მოწმობდა ხალხის ღრმა ინტერესს ამ უჩვეულო პროცესისადმი.

— თუ უზენაესი მართლაც დანაშაულია და თუ აქაური სასამართლო იქაურ სასამართლოსა ჰგავს, გამართლებენ უეჭველათ! — წარმოსთქვა ერთმა ახლად ცხონებულმა ქართველმა.

— ამდენად „თუ“ რა ამბავია შე კაი კაცო.



დელეგაცია განცვიფრებაში მოიყვანა ჩინელების საბჭოთა ჯარის შეხედულობამ.



შეედავა მეორე—გუშინ თავმჯდომარეს განუცხადებია:

„მართლის გამტყუნებას ისა სჯობია, დამნაშავე დაისაჯოსო.“

მსაჯულებიც მოვიდენ. ბრალმდებელიც, ბრალდებულიც და ცოტა ხნის შემდეგ თვით თავმჯდომარეც ინება მობრძანება. სოლომონი, გარეგნული შეხედულებით კარგ გუნებაზე იყო, თუმცა მის გულში რა ცეცხლისდუღდა, ეს არავინ იცოდა.

დიდი მოწყენილობა არც ბრალდებულს ემჩნეოდა, სახე ჩვეულებრივით უბრწყინავდა, ხოლო სპეტაკ წვერს გრილი ნიავე უთამაშებდა. მეტის სიფრთხილისათვის კარის ექიმი თან წამოყვანა და იქვე შორი ახლოს იდგა სხვა და სხვა საყნოსი წამლებით აღჭურვილი.

— სხდომას გახსნილად ვაცხადებ! დინჯათ წარმოსთქვა სოლომონმა და სათვალეები გაიკეთა.— სიტყვა ეკუთვნის პატივცემულ იეგოვას.

მამა ღმერთი ნელა წაჟოდგა. დინჯის ჩახველებით ხმა გაისწორა, წვერებზე ნაზათ ხელი ჩამოიწია და დაიწყო.

— მოქალაქენო! აგერ მეშვიდე დღეა, მძიმე საგონებელში ჩავარდნილს, ლამით ძილი არა მაქვს და დღითი მოსვენება. ვფიქრობ და ვარ გამოძიროკვევია, თუ საიდან შეთხზა პატივცემულმა ბრალ-

მდებელმა ამდენი დაუჯერებელი და ყოველივე სიმართლეს მოკლებული ამბავი...

თავმჯდომარე გთხოვთ საგანს ნუ უხვევთ.

ბრალდებული. როგორ თუ ეუხვევ! მე მინდა გავიგო, საიდან მომდინარებს ეს ქორები და ინსინუაციები ჩემს შესახებ.

თავმჯდომარე ამას სასამართლო გამოარკვევს, გთხოვთ საგანს დაუბრუნდეთ.

ბრალდებული. მე მოვითხოვ, ბატონო თავმჯდომარე, გამაგებინოთ, ვინ უთხრა ქართველ ხალხს, რომ ეს დანაშაულობანი ჩემ მიერ არის ჩადენილი. თუ თქვენს იმართლე გაინტერესებთ ამისი გაგების უფლებას ვერ წამართმევთ.

ბრალმდებელი. ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოვახსენო ბრალდებულს, რომ ჩვენი ბრალდება დაყრდნობილია ურყევ საბუთებზე. ყველა ჩემ მიერ დასახელებულ ბრალდებას დაამოწმებს არა ერთი და ორი მღვდელი, ხოლო საერთოდ ქართველ მოძღვართა და ღვთის მსახურთა მეორე საეკლესიო კრება. დაე იცოდეს პატივცემულმა ბრალდებულმა რომ ჩვენ ჩვენს სიტყვებს ჰაერზე არ ვამყარებთ.

ბრალდებული. მე მაინც მოვითხოვ გამაგებინოთ, ვინ არიან ეს მღვდლები, ან ღვთის მსახურნი, რომელნიც ასეთ მიუტევებელ ქორებს ავრცელებ-

საქართველოს „მემკვიდრეობის“ № 41-ის 5 თუთანი.

ვინც ცნობს „მემკვიდრეობის“ და იმ თავითვე მისი ერთგული მკითხველი ელოდება ის, რა თქმა უნდა, ჯგულის ნატამალსაც არ შეიტანს ასეთი უცნაური გაძვირების საფუძვლიანობაში.

ხოლო, ვინც ჩვენს ჟურნალს „სხვათა შორის“ კითხულობს, ან კიდევ წინასწარ მზრუნავდ განწყობილია მასთან; იმითვის ნება გვიბოძეთ, ცოტა რამ სტატისტიკური ცნობები მოგაწოდოთ:

შეჯამებით ფასები 1914 და 1920 წლ.

უზირჯილის ყოფილი, მოუგესენებთ, ქართული კაცი **კურ-მარლისა და კურ-ლეონი კაცი** ღირს. ვნახთ ქართველი ხალხის ამ თვისების მიხედვით როგორ გაძვირებულია ცხოვრება.

ჭური ღირდა 2914 წ.—5 კ. ესლა ღირს—50 მ. გაძვირებულია—1000%, მარლი გირვანქა ღირდა—2 კ. ესლა ღირს—40 მ. გაძვირებულია—2000% ღვინო ბოლოლი—20 კ. ესლა ღირს—100 მ. გაძვირებულია 500%

ამისდაგვანათ, მარტო ამ ცხრილით რომ ვისელმძვანელოთ, მაშინაც საშუალოდ 1000 ჯერ გაძვირებულია ცხოვრება.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი კაცი გადაეჩვია ჭურსაც, მარლისაც და ღვინოსაც (მოდრი და ნუ გადაეჩვივი ასეთ სიძვირეში!) და სხვა საგნები გაუძინჯოთ.

შაქარი—ჭლირდა 15 კ.—ესლა ჭლირს 300 მ. გაძვირებულია 2000% სპიჩა—1 კ. ესლა ჭლირს—10 მ. გაძვირებულია 1000% ფესმცმელი—5 მ. ესლა—ჭლირს 6000 მ. გაძვირებულია—1000%

როგორც ვხედავთ, არც აქ გამოკეთდა საქმე, მაგრამ თავი დავანებოთ ამ უცხო საგნებს და ჩვენთვის აუცილებელი და მასობელი საქონელი ავიღოთ—**ქალღი.**

ქალღი ერთი ფუტი ჭლირს მაშინ 3 მ. ესლა 6000 მ. გაძვირებულია—2000%

ერთი სიტყვით, ბრძანს კი ნათლად ვხედავს, რომ დღეს მნელად თუ მოიხივება ისეთი საქონელი, 1000 ჯერ მანაც რომ არ გაძვირებულიყოს.

უკეთუ ეოგელსავე შემოსენებულს გავითვალისწინებთ, სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „მემკვიდრეობის“ დღეიდან 50 მან. გახდა.

ბენ ჩემს შესახებ და რომელითაც თქვენ ასე უჯერით. **თავმჯდომარე.** თქვენ უკეთ მოგონებთ ვინ არიან მღვდლები, ვინაიდან ისინი თქვენ გემსახურებოან.

მამა-ღმერთო კარგი სამსახური კია ჩემზე კორების თხზვა და ხალხში გაერცელება! მე განმეორებით მოგიტხოვ მათ გაცნობას.

ბრალმდებელი. იგოვას განცხადება მე სამართლიანად, მიმაჩნია. მოგახსენებთ, რომ მღვდლები და საზოგადოთ სასულიერო წოდება, ეს თქვენი ხალხია. თქვენ გემსახურებოან.

იგოვა. ვინ დანიშნა ისინი ჩემს მსახურად? კეთილი ინიგეთ და გამაგებინეთ.

ბრალმდებელი. როგორ თუ ვინ? მღვდლებს ეფისკოპოზი ნიშნავს. ეს ყველაში იცის, საიდუმლო ხომ არ არის!

იგოვა. ეფისკოპოზს?

ბრალმდებელი. ეფისკოპოზს კათალიკოზი.


იგოვა. კათალიკოზი ვისი დანიშნულია?

ბრალმდებელი. კათალიკოზი!.. კათალიკოზი. კათალიკოზი ხალხმა... კათალიკოზი მართლა ვისი დანიშნულია კარგათ არ ვიცი...

იგოვა. მოქალაქენო! მე სწორეთ ეს მინდოდა გამეგო. როგორცხედათ მე, როგორც ღმერთს, არც ერთი მათგანის დანიშვნაში არავითარი მონაწილეობა არ მიმილია. მართალია შირად მესმოდა: იქ დედამიწაზე ვილაც ვილაცაები შენი სახელით ხალხს ატყუებენ, სძარცვვენ, ვაჭრობენ და გონებას უბნელებენ, მაგრამ არ მჯეროდა. არა მჯეროდა, მოქალაქენო, იმისთვის, რომ ვერ წარმომედგინა ისეთი ადამიანი, რომელიც მათ დაუჯერებდა ასეთ სიყალბეს...

ხალხი. ოჰო, ოჰო!

იგოვა. მოქალაქენო! ისინი რომ მართლა ჩემი მსახური იყვნენ ვანა შეთხზავდნენ ჩემზედ ასეთ კორებს? ისინი ჩემი მოსამსახურენი კი არა, ჩემი მოსისხლე მტრები ყოფილან. ის ბოროტნი სულნი, ხალხის მოსატყუებლათ ჩემს სახელს ც არა ზოგავენ და ქვეყნის საფრთხობელად გამოეყავართ. თქვენ კარგათ იცით, ამხანაგებო, თუ როგორ მიმდინარეობს აქ ჩემი ცხოვრება. მე მხოლოდ სიყვარულსა და სათნობას ვთესავ, ვცდილობ კაცთა შორის მყუდროება და ბედნიერება დავამკვიდრო.



დელეგაცია ძლიერ გააკვირვა მოსკოვის ქუჩების წესრიგმა.

ხალხი. მართალია! მართალია!

იეგოვა. ისინი კი, ძვირფასო შეილებო, ის მატყუარა „ღვთის მსახურები“ დადიან ხალხში და სახელს მიტეხენ, თითქო ყველა უბედურება ჩემი მოგონილი იყოს. ეს არის ჩემი სამსახური? არა! ბატონებო! აქ ძნელი მისახედერი არაფერიც არ არის: ის ვინც მე სახელს მიტეხს, ვისაც მე ხალხის მტარვალად და მოღალატეთ გამოვყავარ, ჩემი სახელით მთელ ქვეყანას სძარცვავს და ატყუებს, ის არ შეიძლება ჩემი მსახური იყოს. მე აქ, თქვენს წინაშე, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ეს ვიღაცა თქვენი მღვდლები და ფეისკოპოზებია, ხალხს ატყუებენ, თქვენც გატყუებენ. აქვე გამოიჩვენა, რომ ისინი ერთმანეთს ნიშნავენ ამ სამსახურში და სამსახურიც მეტად საეჭვო და არა სიმპატიურია აქვთ, თქვენ კარგათ იცით რომ ძე ჩემი ხალხისთვის ჯვარს ეცვა; ნუ თუ ამ თავგანწირვის მოქმედა ბოროტი ღმერთი უნდა იყოს? არა, მოქალაქენო. თქვენი მღვდლები ყოფილან ბოროტნი და უმადურნი, ვინაიდან ჩემი სახელით ლუკმა პურსა სკამენ და ჩემსავე სახელს ხალხის თვალში ჩირქსა სცხებენ და ამცირებენ.

ამგვართ, მოქალაქენო, თუ თქვენს ბრალდებებს სხვა საბუთები არა აქვს, გარდა ამ ბოროტ ადამიანთა მოწმობისა, ის სრულიად ყალბი, უსამართლო, უნიადაგო ბრალდებაა. მიუხედავად ყოველივე იმ მწუხარებისა და შეურაცყოფისა, რომელიც მე მათმა უმსგავსო საქციელმა მომაყენა, მე მოვითხოვ თქვენგან არა ჩემს გამართლებას, არამედ მათ შენდობასა და ბატიებას. და მიეტყოს

მათ შეცოდებანი მათნი ნებსითანი და უნებლიეთნი! ბრალდებული გაჩუქდა. ნელის ნაბიჯით უკუიქცა და თავის სავარძელში ჩაჯდა.

მსაჯულები სამსჯავროთ დასხდნენ. მათი ფარული კამათი ნახევარ საათს გაგრძელდა. ხალხი დიდის მოუთმენლობით მოელოდა განაჩენის გამოტანას.

მსაჯულთა კრებული კვლავ გამოჩნდა. მღვიანმა გაშალა სხდომის დადგენილება და წაიკითხა:

— საგანგებო სამსჯავრომ, სამოთხის ქართველთა მიერ მოწვეულმა განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ იეგოვასი. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლო ქვეყნისა და სინდისის წინაშე აცხადებს, რომ ყოველივე ის ცნობები, რომლებსაც საქართველოს სამღვდლოება აგრცელებს იეგოვას შესახებ, სახელდობრ (ჩამოთვლილია ბრალდებანი) წარმოადგენს საზიზღარ ჭორს იმა საზოგადოების მიერ ხალხის მოსატყუებლათ შეთხზულს; სამსჯავრო ადასტურებს, რომ არც ერთ დანაშაულობაში ზემოაღნიშნულ ბრალდებულს მონაწილეობა არ მიუძღვის, რომ ის არის ღმერთი არა ბოროტებისა, არამედ სიყვარულისა და სიკეთისა, რასაც ამტკიცებს მისი პირადი ცხოვრება სამოთხეში. ამის გამო სამსჯავრო ერთხმად სცნობს მას უდანაშაულოდ, მხოლოდ ქართველ სამღვდლოებას უდიდეს დამნაშავედ, როგორც ქართველი ხალხის, აგრეთვე ბრალდებულის წინაშე!



სოცნარკომმა დელეგაციას ნება დართო თავისუფლად დათვალიერება მთელი რუსეთისა ფანჯრიდან.

ამასთანავე სამსჯავრომ დაადგინა ზემოაღნიშნული დადგენილება უცვლელად დაიბეჭდოს ჟურნალ „ეშმაკის მათრახში,“ რასაც ჩვენ დიდის სიამოვნებით ვასრულებთ.

ეშმაკი.

P. S. ახლად გადმოცემულ ცნობით ბრალომდებელს განძრახვა აქვს სამსჯავროს დადგენილება განსაჩივროს.

ე—კი.

შექანჯალბეულის ლექსები.

I.

ჰაი, არული, არული,
 არული ძმებო, არული,
 (გადავკრათ ზღვაზე მხარული)
 ცოდვა რად გიყვართ ფარული,
 სჯობს ცოდვის გამომქლავნება...
 (თუ თქვენს სინდისს ეს ენება)...
 და რადგანაც ვარ თავნება,
 მიყვარს მე ხშირად მხილება,
 (ეს ჩემი კმაყოფილება)...
 ამოწმებს გამოცდილება:
 კარგია სხვის გაფრთხილება,

ბევრს ჭკუა დაერბილება,
 თუ კაცი გონიერია,
 თუ არ და ლონიერია
 სჯობს მუჯლუგუნის მირთმევა...
 (ამას „მასაჟი“ ერქმევა)
 არული ძმებო, არული!!
 სიტყვა სჯობს პილობილ წაკრული...
 რომ ბევრი ჭკუა ნაკლული,
 არ იქნეს ჯვარზე გაკრული,
 ან თავის დანით დაკლული.
 ბევრს ცხოვრება აქვს აქ კრული,
 ბერისას ისმის მაყრული,
 ვინ ლალობს,—არს გადაკრული,
 და ვინაც ფერდებ აკრული...
 ვინაც ბევრს ყბედობს, ყოყოჩობს,
 მან იცის საქმე როგორც სჯობს,
 გაბედულია, ბევრს არ ბკობს,
 მივა და თავს იქ შეარჭობს,
 სადაც „საიმასქნელია“
 —ხედავს კვლავ ირგვლივ ბნელია,
 „თუ იმის“ არ ხარ მქნელია
 ამბობს, ცხოვრება ძნელია.
 ზოგი იმიტაც ამაყობს,
 სადაც სურს თავს იქ ამოყოფს,
 და ამით „საქმეს მოაწყობს,“



მუშებთან კავშირი და მათი ყოფა-ცხოვრების გაცნობა დელეგაციისთვის სრულიად უზრუნველყოფილი იყო.

და თავის გოგრას ავათმყოფს,
 თუ რას იწონის, ვერ ატყობს;
 მით ხალხის საქმეს ავად ჰყოფს,
 მაგრამ მახეში თავს გაჰყოფს,
 და მით მიისჯის თვისს საყოფს.

II.

არული, კუდიანებო!
 არული, ჰაუ, არული!
 (კეკეს სურს ფერ-უმარული)
 გადავკრათ ზღვაზე მხარული,
 ევროპას თვალი მივაბუროთ,
 იქ ჰკვის კოლოფი დავიბუროთ,
 ჩრდილოსთან ჩვენ რად ვიოხროთ,
 ჩრდილომ იწითლოს წითლადა,
 (თუ არ დაიტვრეს სულმთლადა)
 იგი ევროპას მუშტს უღვს,
 აზიას წითელ ჰიმნს უმღერს,
 „შავებს“ წითელ ფერს აწოდებს,
 „სოციალიზმი“ აბოდებს,
 არც თავს და არც სხვებს იცოდებს,
 ევროპას წარდენას უპირებს,
 —აზიით გაანაპირებს,

რუსეთი, ბაქო, სპარსეთი,
 (უხდებთ წითლად „კორსეტი“)
 შეერთდენ... საქმე ასეთი
 გაჩარხეს, მოაქაზაკეს,
 (ფლავში ქიშმიში ჩაყარეს)
 ევროპას ემუქრებიან...
 (საზნის ბუშტები ჰქრებიან)
 გაწითლდა ნური, ქემალი!
 —დალიეს რალაც წამალი,—
 აგერ, იქ მტერს იგერებენ,
 აქ კი ყარსს ხმლებს უღერებენ
 (ეპხ, დიდხანს ვერ იმღერებენ)...

III

ზიზლ-პიპილ და ბუზმენტი,
 როგორ გიხდება აქვსენტი!..
 გამარჯობა ძმავ ტერენტი!—
 ხომ არ გინახავს დომენტი...
 მოდი, გავსინჯოთ მომენტი:
 კონიუნკტურა, სტრუქტურა,
 ბოლშევიზმი, პოლონეთი,
 ინგლისი და საფრანგეთი,
 ვრანგელი და თუნდ... სოჭხეთი...



საბჭოთა მთავრობამ ყოველგვარი დახარება აღმოუჩინა მუშებს, როგორც ტანსაცმელით, აგრეთვე ნიღაბებით და პარტიკებით,

—კიობს ბაძავს პოლონეთი,
 მისდევს სასაენარკომეთი,
 ფიქრობს: „შეუთიო ერთი,
 ვაწყველინო პანებს ღმერთი
 გავაწითლო პოლონეთი,
 ხელს მოგვაწვდის გერმანეთი,
 და როდესაც ერთმანეთი —
 —ტალი კვესსა და კვესს-ტალი,
 მაშინ ნახეთ ცეცხლის ალი,—
 ევროპაში აგიზგიზდეს—
 ანტანტა თუ ტახტზე იჯდეს!!
 მუსოს ეტყვის პოლონეთი:
 „მომეხმარე, თუ გწამს ღმერთი,
 იარაღი მომაწოდე,
 თქვენთვის ვიბრძვი, შემიცოდე,
 მე თუ ვიწვი, შენც იწოდე,
 მსურს დავიციო მე საზღვარი,
 თქვენც არ დამრჩეთ გულ დამწვარი“
 მუსიომ იცნო ვრანგელი:—
 —მიუსია დათვისა მგელი,
 მაგრამ დათვის მგელი ვერ დასძლევს:
 თუ გსურთ დავდებ ამის ნაძლევს,
 დათვი თუნდაც მგლებს ვერ მოსპობს,
 მგლები დათვებს ვერ გაჰქელოვს—

მხოლოდ ზღვა იმდგრევა, ღელავს,
 მეთევზეს სურს თევზას ჭერა, —
 სჩანს დალატობს ზედის წერა,
 ვაპ, თუ ტალღაც დაეძგერა,
 და ჩააყურყურმალოს—
 და თავიც დაისაფლოს—
 —ღლაგმა მუდამ ვით იღლოს...
 ჰხამს თვის საქმე ჩააფლოს.

II'

გაქო, გაქო, როგორ გაქო...
 კოსრო მოტვლებილი გაქვსო...
 მოეწყინათ წითლებს ბაქო...
 სთქვეს: „აწ აბა, აქ რა გვაქვსო,
 არც აქ—გვაქვს და არც გავაქვსო...
 შეგვექმნა ჯოჯოხეთიო...
 თუმცა მჭლეა სომხეთიო,
 საუზმეთ ხომ ივარგებსო.—
 —მშიერ კუქს ესეც არგებსო,
 საქართველოს ჩვენს ურგებსო,
 (თუმც მუდამ მახეს უგებთო)
 ხელში მაინც ვერ ვივდებთო,
 მაშ, ისევ შენ სომხეთოო,
 შენ უნდა შამოგვხედოო,
 სიწითლე შენც მოგიხდება,



დელეგაციას წარუდგა აგრეთვე რუსეთის ძირითადი გლეხობა.

რა ვიცი, ვის რა უყილო...
 (სჯობს სადმე ჩამოვეყილო.)
 აბა, რავექნა ას პროცენტით?!.
 გთხოვ, ფულებო, აღმოცენდით
 სადმე მინდკრად რომ მოგთიბოთ,
 მოგაგროვოთ, ჩაგიჯიბოთ,
 იქნებ მაშინ რამეს გავხდე,
 კოტას გავძღე, თლად არ გავხდე,
 თორემ ჩემმა პაიოკმა
 ჯალაბი ვერ დაიოკა:
 — დღეში პური ერთი ოკა,
 (ველარ გამობერა ლოყა)
 პროცენტი კვლავ მოგვემატა,
 მაგრამ მიხხარ, ძმავ, მაგრატა
 (ჭკუაზე თუ ხარ მაგრათა)
 ამით რამე მოგვემატა?
 კოტა კიტრი მოგვე მატა!
 ორი ხელით ვჭამე, ქადა...
 დღეს თავვებმა სჭამეს კატა...
 კვლავ სიებს გვთხოვს ჩვენ მაგიდა,
 მაგიდა მომარაგების,
 მე მომემატოს ეგების
 ერთი, ორი მეტი სული,
 ძალუა ხომ მყავს ორსული,
 განგებ აბილისში მოსული,
 იმას მოყვა თან ძმის წული,


(უნდა ამომადრონ სული)
 და თუ სია არ შევცვალე,
 ისე რავექნა გენაცვალე?
 ასეა, დავ, აღვასია —
 მე უნდა შევავსო სია.

შექანჯალებული.

კოშმარი*)

გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, იმავ
 ოთახში ვიყავი, სადაც ოქმი შემდგინეს. ჩემს გა-
 მოზრუნებას უცდიდენ და ახალი ოქმის შესადგენათ
 ემზადებოდენ.
 — რამდენი უნდა გადავიხადო? — ძლივს დავი-
 კნავლე მე მილეულის ხმით.
 — 20 ათასი მანეთი — მიპასუხეს მათ.
 — როგორ თუ ოცი? მატარებლიდან ჩამო-
 სვლა თუ ათას მანეთად ღირს, ასვლა რაღად უნდა
 ღირდეს ოცჯერ მეტად?
 — არა, თქვენ ორი ჯარიმა უნდა გადახადოთ
 ეხლა: ერთი მესამე ზარის შემდეგ ასვლისა, მეორე
 კი გაქანებულ მატარებლიდან ჩამოსვლისათვის.
 ეს კი უსამართლობის წვერვალე იყო! ჯარიმას
 მახდევინებდენ იმისთვის, რომ წინააღმდეგ ჩემი სუ-

*) იხ. — № 40.



რათა წვრიმალეზუდ დელოკაცას, დრო არ დაეკარგათ, ფაბრიკები და ქარხნები დათვალიერებულ იქმნა გაქანებული ავტომობილიდან.

რეილისა, დიდის ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ, ყოველად დაუნდობლად ჩამომართიეს მატარებლიდან და კინალამ კისერიც მომატებინეს.

— მე ხომ ჩემინებით არ ჩამოვმტარვარ, — ჩამომართიეს! — ვცადე შედავება მე.

ჩემმა საბუთიანმა მსჯელობამ არ გასჭრა და იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი.

ერთი ოქმის შედგენას რომ მოაჩენ, მატარებლის კივილი მომესმა.

— ეს მატარებელი საითკენ მიდის? — ვიკითხე მე.

— სწორედ იქითკენ, საითკენაც თქვენ მიემგზავრებით — მიბასუხეს.

— ღვთის გულისათვის, აიღეთ ეს ოცი ათასი მანეთი და გამანთავისუფლეთ, იქნება მოვასწრო დროზე ჩაჯდომა, — შევევედრე მე.

— ჩვენ თქვენი გულისათვის — საერთო წესსა და კანონს ვერ დავარღვევთ: ჯერ ოქმი უნდა შევადგინოთ, კვიტაცია ამოვიწეროთ და შემდეგ ფული ჩავიბაროთ.

როგორც იყო, ბედმა გამიღიმა და მეორე ხარის დარეკამდე მოასწრეს ოქმის შედგენა. 20 ათასი მანეთი მივეცი და წამოვდექი მატარებლისკენ წასასვლელათ.

— ისე დაბეჭილი ვიყავი, ისე მქონდა დამსხვრეული მთელი სხეული, რომ ძლივს მივალწიე ვაგონამდე

და რის ვაი ვაგლახით ჩავჯექი მატარებელში. ბილეთის აღებას ვინლა ჩიოდა! აბა რას შეიცავდრალაც სამასი მანეთით ზედმეტის გადახდა იმ 30 ათას მანეთთან შედარებით, ჯარიმათ რომ გადამახდევენს.

ვაგონში ბარე ხუთი მგზავრი დამიხვდა ჩემს ყოფაში: ამათაც ჩემი ამბავი შემთხვეოდით და ყოველ განძრევაზე კენესოდენ ტკივილებისაგან.

დახეა ადამიანის ეგოიზმი! ცოდვა გატეხილი სჯობია და, ეს ჩემსავით ნაგვები და განაწამები მგზავრები რომ დავინახე, ცოტა არ იყოს, გულს მომეშვა და ნუგეში მეცა.

ჭირი და უბედურება ადამიანებს აახლოვებს და ჩვენც თვისტომობა ვიგვეძნით ერთმანეთის, ჩვენ ჩვენი გაჭირება ურთიერთს გაუზიარეთ და გული მოვიოხნეთ.

ასე მივდიოდით ნელის ქუჩაკუჩით ვიდრე გორს მიუახლოვდებოდით.

გორს რომ მიუახლოვდით, კონტროლმა ჩამოიარა ბილეთების შესამოწმებლათ.

— თქვენი ბილეთი? — მკითხა მე.

— მე ბილეთის ყიდვა ვერ მოვასწარი... ორმაგ ფასს გადავიხდი... სამჯერ დამაჯარიმეს, — წავილულულუდე მე.

— ეხლა მეოთხეჯერ დამაჯარიმებენ! — წარმოსთქვა კონტროლერმა.



დელეგაცია საკუთრის თკალოთ დაწქუნდა, თუ რარაც სასარკებლო შრომას ეწვეიან ჩრეზიჩა იკაში დატუსადებული მოქალაქენი,

— წარადგინეთ გორში! — უბძანა მან კონდუქტორს.

გორში მისვლამდე ხმა არ ამოჰმიღია, დავმუნჯდი. ისე დაქაზბნა და დამაგლახა ამ გაუთავებელმა უბედურებამ, რომ ყველა გრძნობები დამიჩლუნგდა და აბატიამ შემიბჰყო.

მატარებელი რომ გაჩერდა, გაქირვებით წამოვდექი და უღრტვინველად გავყევი კონდუქტორს.

კიბეზე რომ ჩავედი, ვიღაცა მგზავრი წამომეწია.

— თქვენ აქაც ვერ მოასწრებთ ბილეთის ყიდვას; მე არსად მეჩქარება, გორში უნდა დავრჩე და თუ გნებავთ, გიყიდით ბილეთს, თქვენ კი ოქს რომ შეგიდგენენ და ჯარიმას გადაგაბდევენებენ, პირდაპირ ვაგონში შედით, იქ მოგიტანთ, — მითხრა ამ ღვთისნიერმა კაცმა და კასისაკენ გაიქცა.

შემიდგინეს მეოთხე ოქმი და გადამახდევინეს მეოთხე 10 ათასი მანეთი.

ვაგონში ღროზე შევედი და ფანჯარასთან დავჯექი, რათა ის კაცი არ დამეარგოდა, ბილეთს რომ შეძპირდა. მალე ისიც გამოჩნდა და ბილეთი ფანჯარაში გადამოძცა.

მე მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ იქვე მილიციონერი გაჩნდა და მრისხანე ხმით მიბრძანა:

— ჩამობრძანდით!

— რათა? — ყრუ ხმით ვკითხე მე, რადგან ახალი საფრთხე ვიგრძენი.

— თქვენ ფანჯარაში რა გადმოგცეს?

ბილეთი! — ვუბასუნე მე და ახლად ნაყიდი ბილეთი ვუჩვენე.

— ახლავე ჩამობრძანდით, უნდა წარგადგინოთ! განა არ იცით, რომ ფანჯარაში ნივთების გადაცე-აკრძალულია? ჩამობრძანდით ამ წუთშივე!

მე, რალა თქმა უნდა, მაშინვე ჩავედი, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რასაც მოასწავებდა ჩემი გაჯიუტება.

მეხუთე ოქმის შედგენა რომ დაიწყეს, მატარებელი დაიძრა.

უკანასკნელი 10 ათასიც ჩავაბარე და სამასი მანეთილა მრჩებოდა ჯიბეში. სამასი ათასიც რომ მქონოდა, მატარებელში აღარ ჩავეჯდებოდი. მეყო, რაც ვიჯექი! გადავწყვიტე ქვეითად წასვლა და ბაქანზე გამოვედი.

ნახევარი ვერსიც არ მქონდა გავლილი, რომ ოციოდე საკვირველ მგზავრებს დავეწიე. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ხელი ჩამოკიდებული, ზოგიც ყვარჯენით მიდიოდა. ჯერ ვიფიქრე, ნამდვილათ ომში დაჭრილები იქნებინ თქო, მაგრამ



თუმცა მას ყველაფერი იმ სახით არ დაუნახავს, როგორც ნამდვილად ხდება. ?

რომ გაიუსწორდა და ვკითხე, სულ სხვა ინვალიდები აღმოჩნდნენ: ესენიც ჩემსავით მატარებლიდან ჩამონათრევი ხალხი ყოფილიყო და ამათაც ჩემსავით ქვეითად წასვლა გადაეწყვიტათ.

„გამარჯობა“ ვუთხარი და მეც მათ შეუერთდი. კარგა ხანს ჩუმათ მივდიოდით.

ბოლოს ერთმა ყვარჯენიანმა დაარღვია სიჩუმე: — ახლა გომში მაინც ვიქნებოდით! — ნაღვლიანათ წარმოსთქვა მან.

პასუხი არაფერს ვასცა.

— ამხანაგებო! — დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ ერთმა თავშეხვეულმა: საინტერესოა, რამდენს აიღებდა ჩვენ ყველასგან, ვინც აქა ვართ, სახელმწიფო?

ამ საყურადღებო საკითხმა საერთო ცნობის მოყვარეობა გამოიწვია და ანგარიშს შეუდექით. გამოირკვა, რომ სახელმწიფოს ჩვენი ჯარიმებისგან აეღო 320000 მანეთი.

საკითხი გავაფართოვეთ და შეუდექით იმის ანგარიშს, თუ რა შემოსავალი ექნებოდა საშუალოთ დღეში სახელმწიფოს ჩვენი თანა დასახიჩრებულ მგზავრებისგან. დაახლოებით ნავარაუდევმა ანგარიშმა კარგა მოზრდილი რიცხვი მოგვცა — მილიონ ნახევარი მანეთი.

ჩვენ ყველანი კარგი პატრიოტები გამოვდექით და გვიხაროდა, რომ სახელმწიფოს მმართველებმა

ასეთ შემოსავლიან საშვალეზას მიაგნეს, მაგრამ ჩვენი სიხარული ერთმა ცხვირ-დამტვრეულმა ამხანაგმა გაგვიბათილა:


— ამხანაგებო! — მოგემართა მან: გოლახდილით მითხარით: გაბედავთ კიდევ როდისმე მატარებელში ჩაჯდომას?

— არასოდეს! — ერთხმათ უპასუხეთ ყველამ.

— ჩვენ აქ 23 კაცი ვართ. ხუთჯერ ოცდასამი კაცი მაინც აიკვეთს დღეში მატარებლით მგზავრობას მთელს რესპუბლიკაში. ამათი მაგალითი და მწარე გამოცდილება სხვა მგზავრებსაც აუხელს თვალს და სულ ორი-სამი თვის განმავლობაში მატარებლით იმგზავრებენ მხოლოდ ჩემანქანები და კონდიქტორები. რა შემოსავალი ექნება მაშინ სახელმწიფოს?

ჩვენ აღარაფერი ვუპასუხეთ. კვლავ სიჩუმე გაგვფლა.

დიდ ხანს მივდიოდით ასე ღამის წყვედიადში. აგარის სადგური რომ გავიარეთ, მესამე ვერსზე რკ. გზის მილიციონერი შეგვხდა, უკან ბრუნდებოდა, სადგურზე, თვალი აგვარიდა და ისე ჩაგვიარა, თითქოს არც კი დაგენახეთ. ცოტა მანძილს შემდეგ ლიანდაგს გადმოღმა ჰკვდარ კაცს წავაწყდით. სახე დასახიჩრებული ჰქონდა მიწზე დანარტყამ და ცალ ფეხზე წაღა არ ეცვა. მაშინ კი მი-



უკანასკნელმა მთაბეჭდილებამ ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა.

ვხვდით, რათ ჩაგვიარა გვერდი მღვრიონერმა ისე უჩუმრათ. ჩვენც უხმოდ შემოვერტყით მიცვალე-ბუღოს და დიდხანს ვიდევით ქუდ—მოხდრებები მის გარშემო...

ბერი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ მეორე დღეს დილით ხაშურს მივალწიეთ.

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: აკი ჩემი ფილტვის ანთიბიანი მეუღლე და იმისი ხუთივე შვილი ხაშურში არ დამიხვდენ!

ჩემს ცოლს ფილტვის ანთება აღარ აღმოჩენო-და.

იმ დღეების ამბავი ასე მომხდარიყო: ბაბოს ჩვე-ულია აქვს, ყოველ დილით და საღამოთი მაჯის ცემას ითვლის ხოლმე. იმ დღეს საათი ჩემი უმც-როსი ვაჟისთვის ჩაებარებია და თითონ მაჯის თვლა დაეწყო. პატარა გარიბალდის (ჩემი ვაჟს სახელია) ერთის მაგიერ ორ წუთს ეთვლევენებინა და, ამის გამო, მაჯა—160 ჰგონებდა. დამფრთხალ ბაბოს თითონვე დაესვა თავის ავთომყოფობის დიაგნოზი და ის დღეშია გამოვეზავნა.

მაგრამ ყვილაზე საინტერესო შემდეგია: რომ აღარც მე ჩავედი და ამბავიც არაფერი მიუვრდათ ჩემგან, წამოსვლა გადაწყვიტათ, წაოვერში ბილე-თები მხოლოდ ბორჯომამდე მიეცათ, ბორჯომში კი ვერ მოესწროთ ბილეთების აღება და ეხლა ხა-შურში გაეჩერებინათ ოქმის შესადგენათ.

60 ათასი ან სამ-სამი თვე ციხე!
რა თქმა უნდა—ციხე!

თავუნა...

გადასახლებული ქალები.

მეტის მეტი მიმზიდველი და ლამაზია ბათომი. ორი რამე შეადგენს მის სილამაზეს:

ზღვა და ქალები.

ზღვა სამი მხრიდან უაღერსებს ბათუმს; ქალები თითქმის ყველა ქუჩაზე კოპწიობენ. მაგრამ განსაკუთრებით ორ ალაგზეა ზეელი მშვენიერება თავმოყრილი:

ბაღში—ზღვის პირი

დუნდუკოვ კარსაკოვის ქუჩაზე—ქალები.

და ორივე ამ სიმშვენიერით ორივე ადგილზე სტკებთა ბათუმის ახალგაზდობა,

ინგლისელების დროს ბათუმელი ქალები მხოლოდ უცხოელ მატროსებს, აფიცრებს, ჯარისკაცებს და ინგლისელ მილიციონერებს დაყვებოდენ, ხოლო ბათუმელი ახალგაზრდობა შორიასლოდან ნერწყვს ყლაპავდა.

ქართველების შემოსვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.



დღევანდელი აშკარად დაინახა საბჭოთა კულტურის ნაკოფირება.

ბათუმელი ქალები მხოლოდ ჩვენ „შტატსკებს“ დაგყვებოდა და აფიცრებს, კომისრებს, მილიციონერებს ყურადღებას არ აქცევდა.

ყოველ საღამოს ნახვდით დუნდუკოვ კარსაკოვის ქუჩაზე ბალისკენ მიმავალ ქალ-ვაჟს და შორი-ახლო მაცქერალ მარტო კომისარს. რომელიც სრულიად უშედეგოთ აპრიალებდა ჩამავალ მზის სხივებზე პაგონებს და ექსელბანტებს.

ასე ბედნიერათ მიდიოდა დღენი ჩვენი ცხოვრებისა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბენია ჩხიკვიშვილმა, რომლის საგანგებო კომისრათ დანიშვნა მეტათ გაეხარდა ყველა ბათუმელ ქართველს, მეტათ უცნაური ბრძანება გამოსცა.

„დაიკეტოს ყველა საროსკიპო სახლები.

ყველა როსკიპები გადასახლებულ იქნეს რესპუბლიკიდან“).

ვინც შვიდ დღეში არ გადასახლდება, მათ გაგზავნიან იძულებით სამუშაოზე: ძველი ტომრების სარეცხათ და ქუჩების სიბინძურიდან გასაწმენდათ.“

ეს ბრძანება გამოიცა 4 აგვისტოს.

და უკვე 6 აგვისტოს თქვენ ვერც ერთ ქალს

*) როგორც ვიცით გადასახლებულთ ნება მიეცათ თბილისში გადმოზარდებისა, სადაც ისინი თავს არჩენილ წინაბედს

ვერ ნახავდით ქუჩაში ძველებურათ უღარდლოთ მოსიერნეს.

ბათუმელი ახალგაზღობა მეტათ დაღონდა.

— ეს და ეგაკდა, რომ გამოსცეს ბრძანება და ზღვაც თბილისში გადაიტანოსო — საყვედურით ამბობდა ერთი წყება.

ხოლო გაუთხოვარი ქალები, ე. წ. старыя дѣвы, იყვნენ კმაყოფილი. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ ბენია ჩხიკვიშვილმა მათი ზეგავლენით გასცა ეს საბედისწერო ბრძანებო.

გავიდა ორი კვირე ბრძანების გამოცემიდან. ბათუმელი ახალგაზღობა დადის იაქეთ და სტკებო ცარიელი ზღვით.

ხოლო ბათუმელი ქალები თანახმათ ბრძანებისა გადასახლდენ... კომისარებისა და მილიციონერების ბინებზე.

დღეს თქვენ ყოველ საღამოს შეხვდებით ქუჩაზე (არა მარტო დუნდუკოვ კარსაკოვის, არამედ ყველა ჩუქებზე) მოსიერნე კომისარს, ან მილიციონერს ორი, ან სამი ქალით „პოდრუჩკით“.

ბათუმის ახალგაზღობა მეტათ აღშფოთებულია ამებით და სთხოვს ვისაც ჯერ არს მოაქციონ ყურადღება ამ არა ნორმალურ განაწილებას.

რაშე არიან დამნაშავე?

ბათუმის საზოგადოებას ექვი ებადება:

ბენია ჩიკვიშვილი კომისრების და მილიციონერების ზედგავლენით ხომ არ გავოსცა ბძანებო, რომ ყველა ქალები მათ განკარგულებაში ყოფილიყვნო.

მე არ ვიცი საფუძვლიანია თუ არა საზოგადოების ეჭვი.

მე ვხედავ მხოლოდ კომისრებს, მათ თანაშემ-

წებს და მილიციონერებს ქუჩაში „გადასახლებულ“ ქალებთან მოსეირნეს და მაგონდება ინგლისელების სერჯანტები და მილიციონერები.

ვენერიულ ავადმყოფობათა ექიმი მინც ვიყო! მაშინ კომისრებიც ჩემ ხელში იქნებოდა და მათი სატრფოებიც.

გრ. სლუჩაინი.


თუ მეორე არ წასწუმიდოს.



მასამახურე (რომელიც თვეში ძველი კურსით სამ მანის იღებს, რომელიც ისე სულელია, რომ ქრთამს არ იღებს, რომელიც სამსაგზროში ექვს საათზე მიდის და რომელიც ყოველ საღამოს მშვიერი წვება — ღმერთო ჩემო! უკვე ნაშუალამევის სამი საათია! სად არის ერთი ზოლერა რომ ასეთი მთავრობა ქკუაზე მოიყვანოს... (მუშტებს იღებს საბრალო, მაგრამ რა გამოვა თავის ოთახში მუტების ბოლერით!)

სახელმწიფო სტამბა.

Handwritten notes in red ink on the left margin:
 10000 მხო
 9000
 5000
 2000
 1000
 500
 200
 100
 50
 20
 10
 5
 2
 1



რათ მათ (მუშებს) პირნათლად და პირ მსუქნად შესძლებოდათ წარდგომა დასავლეთის პრო-ლეტარიატის წინაშე.

ქემალ „დაგიმეგობრდება,“
 ჩვენც იმას ხელს გაუწვდითო,
 ევროპას სულს ამოვწვდითო,
 იმ ევროპას, რომელს შენთვის
 მანდატიც კი სჩანს, შეშურსა,
 და შენებრ ერს უბედურსა,
 აღარც კი უგდებენ ყურსა,
 ნუ თუ სიწითლე არ გსურსა,
 გშიათ?—გაჰმევეთ ჩვენ თეთრ პურსა,
 ოღონდ თქვენ სიკეთე ჰქენით,
 ოღონდ ჩვენი შეიქენით,
 და ვაგონი რამე ძღვენით
 მოსკოვს წავასოვნარკომოთ,
 აბა, ტყვილად რად ვიომოთ,
 ჩიჩერინს რატომ სწერთ ნოტებს,
 აბა, სთქვით ვინ იბოროტებს,
 ვინ გეწვევათ ავი ზრახვით,
 (ფლავი კი სჯობს ერბო—ხახვით)
 როს დაესტკებებთ შენი ნახვით,
 მენატრებით გფიცავთ, აჰხ, ვით?!

VI

გაქო, გაქო, როგორ გაქო,
 კოსრო მოტვლებილი გაქესო

ნიკაბზედა ერთი ღერი—
 —აგი არის შენი წვერი?
 თუნდ მოაძვრე ერთი ღერი—
 —დაეღუბა ქოსას წვერი,
 ღარიბს ცოტა დააკლდება,
 მოკლე ცოტათ დამოკლდება,
 და მეც ჩემი ბიუჯეტი,
 აღარ დამრჩა ამის მეტი;
 ჩემი ოჯახის წევრების—
 —უწლოთა, თუ წლოვანების—
 საბუთიან მოხსენებით,
 (ვკლები ამის გახსენებით),
 სათანადო დეკრეტებით,
 (დამამტვრიოთ, გთხოვთ, კეტებით)
 მე საზამთრო ხარჯთ აღრცხვა,
 (ჩემს მტრებს თავში ვაი, რისხვა)
 დავამტკიცე და მივიღე,
 ავანსად ხარჯი გავიღე,
 ლუკმაზე ხელი ავიღე...
 ვის კაბა სურს, ფეხსაცმელი,
 და ვის პალტო ჩასაცმელი,
 რომელს შლაპა, რომელს ბუა,
 (ვაი, დედავ, მტყივა ჭკუა)